2014 წლის 14 მაისის

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის ოქმი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.36). სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

ლიანა მასიკაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

ელგუჯა ჩხაიძე- წევრი

რამაზ მორჩილაძე- წევრი

ვლადიმერ კიკნაძე- წევრი

ლელა ბუალავა- არ ესწრებოდა სხდომას

ქეთევან ჯაფარიძე- სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო- 16:00 საათი

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ასოციაციის ბუღალტერთან შეხვედრა;

სხდომა გახსნა კომიის თავმჯდომარემ ლია მასიკაშვილმა. სხდომას ესწრებოდა ასოციაციის ბუღალტერი გელა არსენაშვილი. წევრებმა ბუღალტერთან ერთად იმსჯელეს ასოციაციის 2013 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, კერძოდ, მათ ძირითადი აქცენტი გააკეთეს და ბუღალტერს მიმართეს რამოდენიმე საკითხზე: 2013 წლის ასოციაციის ბიუჯეტის შემოსავლით და ხარჯვით ნაწილზე, მიიღეს ინფორმაცია ასოციაციის ეკონომიური საქმიანობის შესახებ და ორგანიზაციის მიერ მიღებულ გრანტებთან დაკავშირებულ ბუღალტრულ საკითხებზე.

აღნიშნულ საკითხებზე ბუღალტერთან გასაუბრების შემდეგ, წევრებმა იმსჯელეს "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" 2013 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსური აუდიტორული შემოწმების მიზნით გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ არსებული მდგომარეობით არცერთი განაცხადი არ იყო შემოსული ასოციაციაში. წევრებმა განაცხადეს, რადგან არ შემოვიდა არცერთი განცხადება აუდიტორული კომპანიებისგან, საკონკურსო ვადის ამოწურვამდე (მ/წ 15 მაისი) გაგრძელდეს განაცხადების შემოტანის ვადა მ/წ 29 მაისის ჩათვლით. ინფორმაცია ვადის გაგრძელების შესახებ განთავსდეს როგორც ასოციაციის ვებ-გვერდზე, ასევე ინტერნეტ-გვერდებზე: jobs.ge და hr.ge.

წევრებმა მომდევნო სხდომის თარიღად ჩანიშნეს მ.წ 4 ივნისი, 17:00 საათზე და სარევიზიო კომისიის სხდომის თარიღად დაადგინეს ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათი, 17:00 საათი. მათ განაცხადეს, რომ ამგვარად გაუმარტივებათ მუშაობა, რადგან წინასწარ ეცოდინებათ სარევიზიო კომისიის შეხვედრის დრო და თარიღი, შესაბამისად, ეს ხელს შეუწყობს წევრთა მაქსიმალური რაოდენობით დასწრებას სხდომაზე. წევრების მიერ სხდომაზე მსჯელობის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა:

1. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" 2013 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსური აუდიტორული შემოწმების მიზნით გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით, საკონკურსო ვადის ამოწურვამდე (მ/წ 15 მაისი) გაგრძელდეს განაცხადების შემოტანის ვადა მ/წ 29 მაისის ჩათვლით. ინფორმაცია განაცხადების შემოტანის ვადის გაგრძელების შესახებ განთავსდეს როგორც ასოციაციის ვებ-გვერდზე, ასევე ინეტერნეტ-გვერდებზე: jobs.ge და hr.ge.

2. მომდევნო სხდომის თარიღად განისაზღვროს მ.წ 4 ივნისი, 17:00 საათი. სარევიზიო კომისიის სხდომის თარიღად დადგინდეს ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათი, 17:00 საათი.

სარევიზიო კომიისიის თავმჯდომარე- ლიანა მასიკაშვილი

წევრი- ელგუჯა ჩხაიძე

წევრი- რამაზ მორჩილაძე

წევრი- ვლადიმერ კიკნაძე